„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯევის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული განცხადება გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის ფართობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთის

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალექსი თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

„ივერიაზედ“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიას», უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ Редакцію «Дроэба».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან «დროება» და «ივერია» ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დროებისვე» ადრესით.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

## რედაქციისაგან

ჩვენის ძველის ხელის-მომწერლებისაგან ყოველ დღე მოგვდის საყვედური, რატომ ახალი წლიდამ გაზეთს აღარ გვიგზავნითო. ამ საყვედურის ასაცილებლად უნდა ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს, რომ გაზეთს ვერავის ვერ გავუგზავნით, ვიდრე გაზეთის მიღების სურვილს არ გამოგვიცხადებენ. ამას იმიტომ ვხადით საჭიროდ, რომ არავინ იფიქროს, ვითომც გაზეთის დაბარებას ძალად ვაკისრებინებდეთ ვისმე.

თბილისი, იანვრის 18-ს.

რა მოაკვეცს რომელსამე დედა-აზრს ფრთებს ისე, როგორც მისი დამცველისაგან საბუთების ძებნის დროს მიწოდომა სრულიად წინააღმდეგ მაგალითებზედ, რომელნიც მის აზრს ძირიანად არღვევენ. ასე მოუვიდათ ზოგიერთ პუბლიცისტებს, რომელნიც ტრანზიტის მოსპობის დროს ჰქადაგებდენ: ეს საშუალება საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაითვალოს რუსეთის საქონლის გავრცელებისათვის სპარსეთსა და შუა აზიაში...

ზოგნი ჰფიქრობდენ რაკი ევროპიელებს კავკასიაზედ გზას შევუკრავთ, სხვა მარჯვე გზას ველარ იპოვნიან და საზღვარ-გარეთის საქონელი შინაურ საქონელს ცილობას ვერ გაუწევსო. ამ აზრისა იყო და ამავე მიმართულებისა მრავალი წერილი იბეჭდებოდა ერთს მოსკოვის გაზეთში.

მაგრამ გავიდა ხანი, განვლო წელიწად-ნახევარმა და ეხლა იგივე გაზეთი სხვა ლათაიებს ამბობს, ანუ უკეთ ვსთქვათ, ფაქტები სხვა ლათაიებს ათქმევინებენ, თუმცა ძველი გზისა და მიმართულების დატოვება კი არც ეხლა სწადიათ. ამ მხრით შესანიშნავია წრევანდელს მოსკოვის გაზეთის მე-10 №-ში დაბეჭდილი კორესპონდენცია, რომლის ავტორი ჩივის და სტირის, რომ ტრანზიტის მოსპობამ ვერ გასჭრა და ევროპიელები სპარსეთიდამ ვერ გამოაძევაო. პირ იქით, ეხლა ნაკლებად არ ფუსფუსებენ უცხოელნი ამ ქვეყნებში და თავიანთ საქონლისთვის მაზრას იჩენენ [?] ევროპიელი ფაბრიკანტები არტისტებს ჰგზავნიან იქ, რომ ადგილობრივი გემოვნება გაიცნონ და იმის შესაფერად მოამზადონ თავიანთი საქონელიო. ეს კიდევ არაფერი: თვითონ საქონელი ეხლა იაფად ჯდება, ვიდრე ტრანზიტის მოსპობამდე ჯდებოდაო.

ეს უკანასკნელი ფაქტი ყოვლად შესანიშნავია; იგი ამტკიცებს უარაობას იმ თეორიისას, რომელიც ცდილობს ძალით გადასხვაფერებას პოლიტიკო-ეკონომიურის წეს-წყობილებისას. „მოსკოვის უწყებებს“ სწადდათ გზა გადაელობათ ევროპიულ საქონლისათვის და არ შეეშვათ ზემოხსენებულ ქვეყნებში, მაგრამ ეხლა თავიანთ პირითვე აღიარებენ, რომ ამ საშუალებამ ვერაფერი გვიშველა-რა, და თუ ერთი მხრიდამ გზა შევკარით, თვალთ-მაქცი ევროპიელები მეორე მხრიდამ შემოგვეპარნენ და უარესს კონკურენციას გვიწევენო.

როგორ მართალნი იყვნენ ისინი, რომელნიც ამბობდენ, რომ თუ სა-

«დროების» ფელეტონი, იანვ. 18-ს.

## სოფლის გაყოფა

შილერიდამ

აჰა, ძლიერი ხმა, ღრუბლების მსგავსი ზეცით მოისმა:
«თქვენს გეკუთვნის მთელი ქვეყანა!» კაცთ უთხრა ზევსმა:
«მიიღეთ იგი სამკვიდრებლად მთლად ერთიანად,
ერთი-ერთმანეთ შორის განაწილეთ სამართლიანად!»
და აი ყველა დაიძრა მაშინ: დიდი, პატარა
თვისს საჩუქარსა მიესწრაფება,—დაისაკუთრა:
მსწრაფლ გუთნის-დედამ მინდორი, ველი მოხნა, მოსთესა,
მონადირემაც ტყისკენ გასწია,—და სდევნის მხეცსა;
ხარბად საქონლით სახლსა, ბეღელსა ავსებს ვაჭარი,
ღვინოს მოუვლა, ესაუბრება ქურუმი წყნარი;
გზები შეუკრა წამს მებატონემ გამვლელ-გამომვლელს
და ახდევინებს უწყალოდ ხარკსა თვის მრავალს მონებს.
ბოლოს, როს მოხდა მთელის სოფლისა განაწილება,
როდესაც ქვეყნამ ჩაიგდო ხელში თვისი უფლება,—
ბოლოს პოეტი მოვიდა შორით წყენით აღვსილი:
სულ დაეტაცეს, აღარ ხვდა მხოლოდ მას ხვედრი წილი.
„ოჰ! ვაგლახ, ვაგლახ! მე ერთი დავრჩი დავიწყებული,
მხოლოდ მე მარტო, მორჩილი შვილი შენი ერთგული!“
ესე გოდებდა, სტიროდა მწარედ გულ-სევდიანი
ზევსის ტახტის წინ მუხლ-მოდრეკილი იგი მგოსანი:
—„შენ არ იყავი, რომ უცხო სიზმართ ტურფა მხარეში
სულით ფრინავდი? სად იყავ, მითხარ, შენ იმ ხანებში,
როს სოფელს ვყოფდით? რაღად ემდური დიდებულს ღმერთებს?
„შენთან ვიყავი!“ მიუგო მდაბლად მგოსანმა ზევსს:
„ჩემი თვალები შენ შემოგეჭრეტდენ სხივ-ცისკროვანსა,
შემოქმედისას ვისმენდი უცხოს ჰარმონიასა,—
და რომ იქ მაღლა, ცაზედ ვსტკბებოდი ნათლით მოსილი,
აქ თურმე მაშინ მე დამეკარგა სამკვიდრებელი!..“
„ვხედავ აღარ გხვდა“, მიუგო ზევსმა, „ხვედრი წილია,
მრთელი ქვეყანა,—სმელეთი, წყალი გაყოფილია;
მაგრამ თუ კი გსურს სამარადჟამოდ ჩემთან ცხოვრება,
ცისა კარები ყოველთვის ღია შენთვის იქნება.“

დიმ. ყრმელი.

## სხვა-და-სხვა გვარი საგლეხო კრედიტი ჩვენში

### შიდა-კახეთი, გარე-კახეთი, ქიზიყი და ქართლი.

ნუ კი იფიქრებთ, ბატონებო, რომ აქა და საგლეხო კრედიტი ვახსენე, მე მოგიყვებით სასოფლო ბანკების ამბავს. არა, მე ამათ მხარს ავაქცევ ჯერ იმისთვის, რომ საცა ისინი დაწესდენ, ბევრი ნაყოფი არა მოიტანეს-რა და მერედ იმისთვის, რომ არა ვხედი მათ ჩვენი ხალხის მალხმოდ. მაინც ლიტონ სიტყვებად რომ არ მიიღოთ ჩემი პირველი აზრი (მეორეს ჯანი გავარდეს, რადგან ათასში ერთი გულ-უბრყვილს თუ წასჭიდებს ხოლმე კლანჭებს ამ ანთებულ ჩალას, რომ ზღვას ცეცხლი წაუკიდოს) გეტყვით, თუ რა მოჰყვა იმ ბანკებს, რომელთაც ამ რვა და ათი წლის წინად, სოკოებივით თავი ამოყვეს: კახეთში ნაფარეულისამ, ყვარლისამ, ენისლისამ და კარდენახისამ; ქართლში—რუისისამ, ტყვიავისამ, ახალ-ქალაქისამ და ოძისისამ; გარე-კახეთში ივრის-ხეობისამ...

ნაფარეულის და ყვარლის ბანკები მარტო ქიღალდზედ-ღა არსებობენ და კასაში თაგვები ათხაკუნებენ. ჩვენი მტრის ოჯახი დაწელდეს ისე, როგორც არის გაწელებული კარდანახის ბანკის კასა: უნებურად გაგეცინებათ, როდესაც დაინახავთ რუსულად დაბეჭდილ ბლანკებს, თამასუქებს და საწევრო წიგნებს. ახალ-ქალაქის ბანკი ჯერ ისევ ნორჩი იყო, რომ დამწესებელთ გადაყლაპეს. ერთს დროს ოძისის გამოჩენილი ბანკი მიყრუვდა. რუისის ბანკში მსხვილ-მსხვილად წაღებულ «სუმებს» აღარ აბრუნებენ. ენისლის ბანკმა ამ ცოტა ხანში დააწიოკა მთელი სოფელი და ვალში გაყიდული მთელი წლის ხალხის ნაშრომი თელაველს ვაჭრებს ნახევარ ფასად დარჩათ. მხოლოდ ერთად-ერთი ივრის ბანკი მაგრობს, რადგანაც მის ლალას, როგორც მუშა კაცს, საქმისათვის არ უმტყუნია და არც უმტყუნებს... ოღონდ ფარდის ახდამ, როგორც ხედავთ, არა სანატრელი

ვაჭრო მოედნის გაფართოვება გვინდა, ჩვენი საქონელი უნდა ღირსებით გავაუმჯობესოთ, თორემ დამპალ საქონელს ვერ გავასაღებთ, როდესაც სხვათა საუკეთესო მოენახებათ, თუნდ რომ ჩინეთის კედლებით შემოვიზღუდოთ, ან სხვანი შემოგვზღუდოთო!

## შინაური ქრონიკა

═ იანვრის თუთხმეტს, თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში დაიწყო კრება თბილისის ეპარქიის სამღვდელოებისა საქალებო ეპარქიული სასწავლებლისა, წმინდა სამთლის გაყიდვის და სხვ. საქმეების განსახილველად. რადგანაც ეს დღე პირველი დღე იყო კრებისა, მიტომაც პირველს სხდომაზე კრებამ მოასწრო მხოლოდ თავმჯდომარის და მისი თანაშემწის ამორჩევა და სხდომების რიგის დაწესება. თავმჯდომარედ ამოირჩიეს დეკანოზი მამა ი. სიმონოვი, მის თანაშემწედ—მამა რცხილაძე; სხდომები იქნება მუდამ დღე თითო ჯერ, სანამ კრება საქმეს მორჩებოდეს, დილის რვა საათიდგან ნაშუადღევის სამს საათამდის.

═ ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკს წარსულს ვაჭრობაზედ დარჩენია გაუყიდავი მხოლოდ სამი მამული: ერთი თბილისში და ორი ახალციხეში სულ 28,000 მანათისა.

═ თბილისში ეხლახანს ჩამოვიდა ახალგაზდა მხატვარი ალექსანდრე ბერიძე. მან უკანასკნელი ორი წელიწადი დაჰყო ნეაპოლში, სადაც თავის ხელოვნებაში ვითარდებოდა. როგორაც სწერენ ერთს ნეაპოლის გაზეთს ,,Jl Pungolo''-ში, რამდენსამე არტისტს გაუმართავთ გამოსალმების ბანკეტი ბ-ნი ბერიძისათვის და მისს ალბომში ჩაუწერიათ როგორც თავიანთი სახელი და გვარი, ისე სხვა-და-სხვა თანაგრძნობის სიტყვები. ერთს ლიტერატორს ჩაუწერია: ,,როდესაც შენს ქვეყანაში დაბრუნდები, შეგიძლიან სთქვა, რომ ჩვენში იყავ მიღებული, როგორც სასიამოვნო სტუმარი და შეთვისებული, როგორც საუკეთესო მეგობარი''.

═ შარშან თებერვალში პორუჩიკმა ზოლოტარევმა მოჰკლა თავის ცოლი, ოსის ჩამომავლობის ქალი. საქმის გარჩევამ სამხედრო ოლქის სასამართლოში გამოარკვია შემდეგი საინტერესო ფაქტები: ლამაზი და მოსამსახურედ ნამყოფი პელაგია (ზოლოტარევის მეუღლე) მაინც-და-მაინც არ იწუხებდა თავს მეუღლეობრივის ერთგულობით, არ უთმობდა ქმარს არც ერთი საყვედურის სიტყვას, და ბოლოს ხანებში ხშირად სცემდა მას, თუმცა თვითონაც არა ერთხელ გალახულა მისგან; მკვლელობის წინა დროებში დაზაფრიანებულს ზოლოტარევს დაუწყვია რუსულად სმა და ლოთობა. ერთს დღეს ცოლ-ქმარს, ჩვეულებრივად კინწლაობა მოუვიდათ. ზოლოტარევმა სცემა მეუღლეს და გარედ გააგდო. გვემულმა ცოლმა თავი შეაფარა მეზობლის-მენკოვის სახლობას, სადაც დაჰყო სამი დღე და ღამე. თებერვლის ცხრას, დილით ადრე, ქმარი მოვიდა მენკოვის სახლში და, როგორც იქნა, დაითანხმა ცოლი, რომ ოჯახში დაბრუნებულიყო. სახლში დაბრუნების რამდენიმე წამის შემდეგ ზოლოტარევი სადღაც წავიდა; რომ დაბრუნდა უკვე მთვრალი იყო და მაშინვე სადილი მოითხოვა. სადილზე აემალა ცოლს; ამ უკანასკნელმა წასვლა მოინდომა და მოაჯირზე გავარდა, მაგრამ ქმარმა ძალით შეათრია ოთახში. სადილს შემდეგ ზოლოტარევმა მოსამსახურე სალდათი როტაში გაგზავნა, ვითომც მისი ნივთების დასათვალიერებლად, და თვითონ კი რვა წლის ვაჟიშვილით მარტო დარჩა ცოლთან, ხელ-ახლავ აემალა ამ უკანასკნელს, შეათრია მეორე ოთახში და იქ მოჰკლა რევოლვერით. რევოლვერის ხმაზე მოირბინა რამდენიმე კაცმა, რომელთაც შემდეგი სცენა ნახეს: ოთახში, იატაკზე სისხლით მოსვრილი, ცოლი უსულოდ ეგდო; ზედ დაქვითქვითებდა ქმარი, რომელმაც სისწრაფით გვერდით ამოუდო მიცვალებულს რევოლვერი და არწმუნებდა მაყურებლებს, რომ მისმა ცოლმა თვითონ მოიკლა თავი.

სამხედრო ოლქის სასამართლომ გარდასწყვიტა, რომ ზოლოტარევს ჩამოერთვას ყოველივე უფლება და საქონებელი და გაიგზავნოს ციმბირის არა მეტად შორს გუბერნიაში დასასახლებლად.

═ გუშინ მივიღეთ ნობათის რედაქციისაგან გამოცემული «ლომ-კაცი» ზღაპრული პოემა გ. წერეთლისა. ეს პოემა შარშანდელი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა თვით ნობათის ნომრებში. ამ ცალკე გამოცემისათვის ავტორს ხელ-ახლავ გადაუხედავს თავის ნაწარმოები და რამდენსამე ალაგს შალაშინი გაუკრავს ლექსთა წყობისათვის. წიგნი ძლიერ სუფთად და ლამაზიანად არის გამოცემული და მით უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე, რომ იგი დასურათებულია ცინკზე ამოჭრილის ექვსი ნახატით, რომელნიც უფრო თვალ-საჩინოდ დაუსახვენ მკითხველებს პოემის უმთავრესს სცენებს. წიგნის თითო ეგზემპლიარი ღირს—სამ აბაზად. ეს ფასი ძლიერ იაფად უნდა ჩაითვალოს: რადგან წიგნი შესდგება $2^{3}/_{4}$ დაბეჭდილი ფურცლისაგან და, როგორც მოვიხსენიეთ, გამოცემას დართული აქვს სურათები, რომელნიც ჩვენში ძლიერ ძვირად ჰღირს.

═ კახეთიდამ გვწერენ: ,,საშინელი ყინვები დაიჭირა აქ. გზები ისეა გაყინული, რომ ჯვართ-ცმაა მათზე სიარული. ურემი, ფურგუნები თუ სხვა ვაი-ვაგლახით დადის. ეს არის მიზეზი, რომ თბილისში მისვლა-მოსვლა და ქირა ძლიერ დაძვირდა.

საზოგადოდ კი აქ იეფობაა.

═ სოხუმიდამ გვატყობინებენ, რომ იქაც წითელაა მოდებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ავნებს და არც არავინ მოუკლავსო.

═ იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ძლიერ ბევრნი ესტნი მოსულან ესტლიანდიიდამ აქ დასასახლებლად და ძლიერაც ნანობენ თურმე გარდმოსახლებას. გარდმოსახლების მიზეზად ვილაც თბილისელ პედაგოგსა სთვლიან, რომელიც თბილისიდამ ესტურ გაზეთებში აფხაზეთის ქებას სწერდა თურმე და აღთქმის ქვეყანაზე უფრო მდიდრადა სთვლიდა მას. ალბად შავის ზღვიდამ შეუხედნია ამ ბატონს აფხა-

---

სურათი დაგვანახვა ჩვენი ბანკებისა...

როდესაც ჩვენს ბანკებს ასეთი ბედი ხვდებათ, ჩვენს გლეხობას დღითი-დღე უფრო საშინელი მადა ეხსნება ვალის და ვახშის აღებისა. ამ შემთხვევაში გლეხობამ გაცილებით გადააჭარბა თავად-აზნაურთაც, სასულიერო წოდებასაც, ხელოსნებსაც და ვაჭრებსაც.

ჩვენი გლეხი უწინაც სესხულობდა, არც უწინ რჩებოდა უვალოდ, მაგრამ პოეტისა არ იყოს «ეხლა სხვაა, მაშინ სხვაა, მათ შუა სდევს დიდი ზღვარი». უწინ გლეხი გაცილებით შეძლებული იყო, გასატანიც იმდენი არა ხვდებოდა და საკუთარი ოჯახის ბორჯიც ნაკლები ჰქონდა. ახალმა ცხოვრებამ კი გლეხი ისეთ წრეზედ დააყენა, რომ მას ნამეტანი ცხოვრების დასაკმაყოფილებელი სხვის ხელიდან, სხვის ქვეყნიდან და ქარხნებიდან მოსდის, და ეს ყოველივე დროებით მაინც ვალით და ვახშით უნდა შეიძინოს. უმეტესი ჩვენი გლეხობისა ეხლა მოკლებულია იმ ღონის-ძიებას, რომლითაც მან უნდა დააკმაყოფილოს თვისი ყოველ-წლიური მოთხოვნილებანი, და როცა მას ხარჯის მკრეფავი, ან სხვა ვინმე მთხოვნელი კარზე მიადგება, გლეხი ჯერ ცდილობს მოიშოროს ისინი რაიმე ,,ნამეტანის'' გაყიდვით, და თუ ესეები არ მოეპოვება—გარბის სასესხებლად. მაგრამ ,,ნამეტანი'' ეხლანდელ გლეხის ოჯახში ძალიან ცოტაღა დარჩა, და ვინც ჩვენს გლეხს იცნობს, იმან კარგად იცის რაც არის ,,ნამეტანი'' ჩვენი გლეხის თვალში: ქვევრში ერთი თვის სამყოფი ღვინო რომ ედგას და ბეღელში ორი თვის საგძალი პური, მაინც ნახევარ ფასად გაჰყიდის და კარზე მდგომს კი თავიდამ მოიშორებს: შემდეგ კი, რაც თვითონ გაჰყიდა, იმასვე ერთი-ორად და მეტ ფასად ჰყიდულობს...

ერთი სიტყვით აწინდელი გლეხის გაღარიბების ყველა მიზეზთ დასახელებას უადგილობის გამო ვერ შევუდგებით, მხოლოდ ზოგიერთებს აღვნიშნავთ.—რომ მოუკვდება გლეხს ვინმე, აქორწილებს, ჰნათლავს, ხარი უკვდება ამ გაშმაგებულ ჭირიანობაში, ისეტყვება, იწვება, ავადა ხდება, ჰპარავს ვისმე საქონელს,—ყველა ამ შემთხვევაში მას უნდა კრედიტი და კვლავ კრედიტი!..

რაკი არსებობს ასეთი გაშმაგებული სურვილი ვალის აღებისა, გლეხიც ჰპოულობს მას ბანკებში და სახელმწიფო დაწესებულებებში კი არა, რადგან ესენი მათთვის არ არსებობენ, იგი იღებს ვალს კერძო პირებისაგან, რომელნიც ზებერებსავით ყველა კუნჭულებიდან ძვრებიან და ,,ხელს უმართამენ''...

უწინ საკუთრად ფულის სარგებლით მცხოვრებ პირს ვინ ნახავდა?! მაშინ გაჭირებულ გლეხს იმსავით და იქნება იმაზედ უფრო ღარიბი თანამოძმე უმართავდა ხელს ფულით, რომელიც შემთხვევით შერჩენოდა მას ხელში და არ შემოხარჯოდა. აქ სარგებელზედ ხშირად ხსენებაც არ იყო ხოლმე და თუ იყო ,,ღვთიურზე'' და ,,შემრგოზე'' მეტს არ იღებდენ და ბარათის მაგიერ დედაბოძზედ აჭდევდენ, ან თაროზედ ნახშირით ჯვარს დაასვამდენ, ან სადმე კარის დირეზე მიაჭდევდენ. მიცემაც უფრო ვადაზედ ჰხდებოდა, და თუ გადასცილდებოდა, მოვალეს ყელში თოკს არავინ წაუჭერდა, ოჯახს არავინ დაულუპავდა. ,,ნეუსტოიკა'', ვალზე უარის თქმა, ხომ გაგონებითაც არავის გაუგონია... მაგრამ, აი ეს ოც-და-ათი წელია, რაც ცხოვრება სხვა წრეზე დადგა. ბევრს გაუჩნდა სახსარი მუქთად სხვისი ნაშრომის ჩაგდებისა და ხელ-გაუნძრევლად გამდიდრებისა. მოვალე პირიც გამოიცვალა. ამათ შორის მგლური დამოკიდებულობა გაჩნდა და შემოიღეს «ვექსილები, კანდრახტები, ნეუსტოიკა, თავდები, ზალოგი» და სხვა ამ გვარი, ახალი დროის ,,სულთა ბაიათები''. ეხლა ფულის შოვნა ისე საშინელ პირობათა შორის ხდება, რომ წარმოსადგენადაც კი ჯოჯოხეთია. უგიროდ არა რაიმეს არ ანდობენ...

ქვევით დავინახავთ, რომ გამსესხებელნი საშინელს სარგებელს იღებენ, მაგრამ ამასაც არა სჯერდებიან და სარგებელს კუდბაწარასავით ზედ ადევნებენ ნაწარმოების სულ მცირე ფასად შესყიდვას და დანარჩუნებას, და მერე, ამ იაფ ფასად ნაყიდს ნაწარმოებს, ძვირად ჰყიდიან იმათზედ, რომელთაგანაც იყიდეს. ამას უფრო იმით ახერხებენ, რომ ვალის გადახდას გლეხს ფულით-კი არა, ნაწარმოებით სთხოვენ და თუმცა ჩვენ შეუძლებელად მიგვაჩნია ,,ერთს ხელში ორი საზამთროს დაჭერა'', მაგრამ ეს იმისთანა ხალხს არ უძნელდება.

(შემდეგი იქნება)

ზეთისათვის და ისე დაუწერია თავისი კორესპონდენციები. ჩვენს ქვეყანაში' ამბობენ თურმე ესტები, უფრო ბევრს ფულსა ვშოულობდითო. იქ ნაშოვნი ფულიც გზაში დაგვეხარჯა, აქ რაც შემწეობა მოგვცეს, ის აქ შემოგვეჭამა, ციებამაც ლამის ტყავი გაგვაძროს და აღარ ვიცით, რა ვქნათო.

— როგორც ვიცით, მარშან უმაღლესის ნებით საქართველოს თავად-აზნაურობას ქუტაისის ნასესხარი ვალი, პრიკაზიდგან აღებული და მერე ნასესხარის გადახდა ედროვა 37 წლის განმავლობაში. მაგრამ ახლა, თუ მთელმა თავად-აზნაურობამ არა, რამდენიმე მისმა წევრმა მაინც ხელ-ახლავ უნდა მიაპყრას თვისი თვალი პეტერბურგს, რადგანაც თავად-აზნაურობისათვის პატივების სიის შედგენის დროს შემდგენელთ რამდენიმე უმართებლობა და შეცდომა შეეპარათ. ამის გამო ბევრს მამულზე არ ვრცელდება უმაღლესად მინიჭებული მოწყალება. ჩვენ თვითონ ვიცით რამდენიმე ფაქტი, ამბობს „ნოვ. ობოზ.“ რომ კახეთიდგან ვალის გადასასხდელად ფოსტით გამოგზავნილი ფული პრიკაზმა უკანვე დაუბრუნა გამომგზავნელებს. ერთის სიტყვით, ვალის თან-და-თან გადასახდელად წარმოდგენილ ფულებს არ იღებდა პრიკაზი ათის წლის განმავლობაში, და გასაკვირველიც არ არის, რომ ასე დიდი ვალის პატივების შემდეგაც-კი, ძირითადი ვალი თითქმის მოუკლებლად დარჩა. („ნოვ. ობოზ.“)

— „კავკაზს“ მოუტყვია, რომ თბილისის საქალაქო გამგეობასთან აპირებენ სტატისტიკური ბიუროს დაარსებას.

## „დროების“ კორესპონდენციები

**წინა-მხარი** იანვრის 10-ს. 1885 წელი წინა-მხარს ერთს სასოფლო სკოლას მაინც შემატებს. წინა-მხარი სწავლა-განათლების მხრივ უფრო კარგ მდგომარეობაშია, სინამ სიღნაღის მაზრის სხვა სოფლები. ცხრა სოფლის საზოგადოებას, რომელიც წინამხარს შეადგენს, დღეს ოთხი სასოფლო სკოლა აქვს, რომლებშიაც სამ-სამდე მოსწავლე ქალი და ვაჟია. როგორც დაგვარწმუნეს, წინა-მხრის სამი პატარა სოფელი, ბაკურციხე, ქოლაკი და ჩალაუბანი, რომელნიც ერთმანეთზე ძლიერ ახლო არიან, ბაკურ-ციხეში ერთი სასოფლო სკოლის გახსნას აპირებენ.

თუმცა ჯერ-ჯერობით ამ სამსოფელს მხოლოდ ლაპარაკი აქვთ სასოფლო სკოლაზე, მაგრამ მომავალ ენკენისთვეს უეჭველად დააბოლოვებენ და გახსნიან კიდეც. ჩვენის მხრით გვსურს ამ საქმეზედ მივაქციოთ «წერა კითხვის საზოგადოების» ყურადღება, რადგანაც საჭიროა მისი მოქმედება კახეთშიაც გავრცელდეს. ვიდრე განაჩენი შემდგარი არ არის, ურიგო არ იქნება „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ მიანდოს ვისმე, რომ ხალხს ადგილობრივ ჩააგონოს და სკოლა თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს.

×

რადგან სიტყვამ მოიტანა, ეხლა მე მსურს სიღნაღის მაზრის და კერძოდ წინა-მხრის თავად-აზნაურობის ყურადღება მივაქციო მომავალ სათავად-აზნაურო კრებაზედ, სადაც უეჭველია თბილისის სათავად-აზნაურო სკოლისთვის ხარჯის გაწერაზედ იქნება საუბარი. აგერ რამდენი ხანია რაც გორისა და თბილისის თავად-აზნაურობამ თვისი ნებით სკოლის ხარჯი გაიწერა. ჩვენი კახეთის თავად-აზნაურობაკი დღემდის ისე მძიმედ იქცევა, თითქოს მას-კი აწყენდეს თავისთვის სკოლის დაარსება.

კახეთის თავად-აზნაურობა ძველადგანვე არა-ვითარ საქმეში არ ჩამორჩომია თვის თანა-მოძმეთ და დღესაც სწორედ გასაკვირი იქნება, რომ ყურადღება არ მიაქციოს ამ საშვილი-შვილოს საქმეს.

ი. კახელი.

**თელავი.** იანვრის 13-ს. მგონი, შევაწყინეთ თავი ყვავილზედ და სხვა ავად-მყოფობაზედ წერით; მაგრამ როგორ ავუარო გვერდი ამისთანა მოვლენას, როდესაც მთელს კახეთში უცნაურად არის იგი მოდებული და შეუბრალებლად მუსრავს დიდსა და პატარებს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელებს.

აქ საზოგადოდ გავრცელებული არის ხალხში ხმა: სადაც-კი ყვავილით ავადმყოფს ნახავს ექიმი, იქ ქვეშაგებსაც დააწვევინებს და სახლსაცაო. ამ ხმას ისე შეუშინებია ხალხი, რომ თავიანთ სასტიკ სნეულობას ჰფარავენ და გარეშე პირებს ალა'აფერს ეუბნებიან. მასთან ხალხი ძლიერ ერიდება ამ გადამდებ სენს. არც მიდიან ავად-მყოფიან სახლში და არც ახლოს იკარებენ.— აი რა მითხრა ამ უცნაური სენით პყრობილმა გლეხმა გაბრიელა ჯავახიშვილმა ს. ხოდაშენს, როდესაც ვკითხე—„არის თუ არა აქ სადმე კიდევ სხვა ოჯახებში ამ გვარი სენი „ხურვება“ მეთქი?

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე, ჩემთან არავინ დაიარება და მეც არ შემიძლია მივიდე ვისთანმე, რადგანაც მერიდებიან — ეშინიათ „სახადისა“.

მე გავბრუნდი და შევალე მისი მეზობლის, როსება შიოშვილის სახლის კარები, სადაც ორი დამიხვდა ამ სენით შეპყრობილი და ახლო მეზობელმა ჯავახიშვილმა-ვი ან არ იცოდა,—ან არ მითხრა...

ამ ფაქტიდგან დაინახავთ თუ რა ძნელია ყოველ ავად-მყოფობაზედ ცნობების შეკრება. სამწუხარო კიდევ ის არის, რომ მორჩენილებსაც მორჩენილებს არა გვანან: არც ერთს მათგანს სიცოცხლის ფერი აღარ ადევს; გეგონებათ, სამარიდგან ამოღებულიაო,—ისე არიან ზეზეულა ჩამომხმარნი და ჩაყვითლებულნი, და რის ვაი ვაგლახით კარებამდის ძლივს მიბარბაცებენ ორ-ორს ჯოხ'ედ დაბჯენით.

ექიმი ყოფილა ერთხელ ზოგგან, მაგრამ არა ვითარი დარიგება და წამლები არ მიუცია. იგი მარტო იმ სენისათვის არ წასულა. მიწვეული ყოფილა მ. მ—ოვისაგან (შესაფერი საფასით) იმის დედის საქიმოდ ს. აწყურში. ბ. ვოლოხოვსაც ესარგებლა ამ შემთხვევით და მხოლოდ მაშინ გადაევლო ზოგიერთა ავად-მყოფებისთვის თავის მოწყალების თვალი.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ჯერ არა სჩანს მაინცა-და-მაინც, რომ ახალს სამხედრო მინისტრს რაიმე სასარგებლო ზომები მიეღოს ჩინეთის ექსპედიციის შესახებ. რაკი პორტფელს მოჰკიდა ხელი ამ მინისტრმა, მაშინვე აღიარა, რომ ფიცხლად უნდა მოვრჩეთ ჩინეთთან საქმესაო. მაგრამ, როგორც იწერებიან, დღეს ფრანცუზების ჯარები ბანაკად არიანო და თებერვლის პირველამდის ვერ შეუდგებიან მოქმედებას, რადგან სურსათი ერთობ შემოკლებიათ. ყველა ფრანცუზული გაზეთები დიდს უკმაყოფილებას აცხადებენ ასეთს ზანტად მოქმედებისათვის: კუნძულის ფორმოზის შემოზღუდვით სულ უბრალოდ ჰკარგვენ ჩვენი ჯარები დროსაო. და ამ დროს მიმავალობაში კი ჩინელები ოსტატურად ახერხებენ მიშველებას ფორმოზის ჩინელ ჯარისათვის. „სწორედ რომ ახირებული ომი გვაქვს ჩვენ ჩინეთთანო“—უმატებენ გაზეთები.

**გერმანია.** საზოგადოდ მთელს გერმანიაში დიდი ალიაქოთი ააყენა პოლიციელის რუმპფის მოკვლამ. ისეთი დახელოვნებული ჯაშუში აღარ დარჩენია პოლიციას: ყოველს გაჭირებაში მას მიმართვიდენ ხოლმე. მთავრობა 10,000 მარკას დაჰპირდა, ვინც მკვლელს აღმოაჩენს. დღემდის არა ერთი და ორი დაატყვევეს, მაგრამ ნამდვილი მკვლელი კი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. იანვრის 7-საც დაუჭერიათ ერთი ვილაც, რომელსაც დაჭერის დროს რევოლვერი უსვრია ჟანდარმისათვის.

**ინგლისი.** რუსული გაზეთის „მოსკოვის უწყ.“ ლონდონელი კორესპონდენტი ამ გახშირებულის აფეთქებათა გამო მოიგონებს კარგა ხნის ამბავს, როდესაც ინგლისის მთავრობამ გულ-გაშლილად მიიღო რუსის მედინამიტე ლეონ ჰარტმანი და არა-ვითარი თხოვნა რუსის მთავრობისა არ მიიღო პატივ-ღებაში და არ გასცა ჰარტმანიო. წინააღმდეგ ამისა ყველა ინგლისური გაზეთების ფურცლები გაშლილი იყო ჰარტმანის ნაწერებისთვის, რომლისათვის უხვად აძლევდენ ჯილდოს რამდენიმე რედაქციებიო. გარემოებამ სხვა რიგ მოატრიალა საქმე, და ეხლა რუსეთის ადგილი ინგლისს უჭირავს, ესე იგი ინგლისის მთავრობა გაუწყვეტლივ ემუდარება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გასცეს მედინამიტენი, რომელთაც დაუბუდნიათ ამერიკის უმთავრესს ქალაქებში. ამ გარემოებათა წყალობით ეხლა ინგლისმა სულ გამოსცვალა შეხედულება ამ საგანზე. მისის აზრით, თუ მსწრაფლად არ იქმნა აკრძალული დინამიტის ხმარება, რაღა ეჭვია, ბოროტ-მოქმედნი მოკლე ხანში მთელს ქვეყანას გადააბრუნებენ უკუღმაო.

**ბულგარია.** ბულგარიას კიდე იმ დღეს აყენებენ თურმე, რა დღეც უწინ ადგათ. მხოლოდ მაშინ ბაშიბუზუკების ხელიდამ დაიცვეს ეს პატარა ქვეყანა—ეხლა კი ბერძნები დათარეშობენ და საზარელს სიმხეცეს და მტარვალობას იდენენო. თუმცა აქამდის მაკედონიაში ბოროტ-მოქმედებას ყველანი ოსმალებს აბრალებდენ, მაგრამ უპირველესნი დამნაშავენი ბერძნები ყოფილან, რომელთაც მოუწადინებიათ მათი გაბერძნება.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

იანვრის 16-ს

**კიევი.** გუშინ, უნივერსიტეტის ეკლესიაში პარაკლისის გადახდის შემდეგ, სასწავლო ოლქის მზრუნველისა, უნივერსიტეტის რექტორისა და პროფესორების და სტუდენტების დასწრებით გაიხსნა უნივერსიტეტი. მზრუნველმა მიმართა სტუდენტებს სიტყვით, რომელშიაც წარმოსთქვა თავისი წუხილი იმ სამწუხარო გარემოებათა გამო, რომელთაც გამოიწვიეს მმართებლობის ცნობილი განკარგულება (უნივერსიტეტის დახურვაზე); მასთან გამოაცხადა იმედი, რომ ამიერ მშვიდობიანობისა და მეცნიერების ტაძარში კაცნი მეცნიერებისა ხელს მოჰკიდებენ მხოლოდ მას და მისს ინტერესებს.

**ნიუ-იორკი.** ნიუ იორკისა და პენსილვანიის შტატების კანონ-მდებელ კრებაში შეიტანეს წინადადებანი, რომ გამოცემულ იქმნან წესები დინამიტის მომზადებისა და გაყიდვის თაობაზე.

**ბეიმურ.** (მეწამულს ზღვაზე.) ჯავშან-მოსილმა გემმა „კასტელ-ფიდარდოშ“ აღმართა აქ იტალიის დროშა.

იანვრის 16-ს

**ქაირი.** ინგლისელებმა აიღეს მეტამნე, ბერბერისა და ხართუმის შუა მდებარე. ღენერალი სტიუარტი მძიმედ დაჭრილია. ურლსონი ხართუმში წავიდა გემით.

**სანგუნი.** ფრანცუზებმა გათანტეს და სდევნიან მოჯანყეთ კამ-

ბოლკაში. მოკლანულეთა ბელადი სი-ვოლტი დასჭრეს.

იანვრის 17 ს.

**პეტერბურგი.** „ახალი დროება“ გვაუწყებს, რომ მინისტრთა კომიტეტი, დაეთანხმა გზათა მინისტრის აზრს რომ გაყვანილ იქმნას სამარა-უფის-ზლატოუსტის რკინის გზა და გაყვანილ იქმნას სახელმწიფო ხარჯით.

**კაირი.** მეტამნეს დაჭერის წინად მოხდა რამდენიმე ბრძოლა, რომელთა განმავლობაში უილსონმა იგისრა დაჭრილის სტიუარტის მაგივრობა და იანვრის 19-ს დაამარცხა მტერი, რომელსაც მოუკლა 250 კაცი; ინგლისის რამდენიმე აფიცერი და ორი კორესპონდენტი ინგლისური გაზეთებისა მოკლულ იქმნენ. ხართუმიდგან მოვიდა ოთხი გემი ჯარებით, გორდონი ჯერ კიდევ მაგრობს.

## განცხადებანი

### თბილისის ქალაქის გამგეობა

ამ იანვრის 23-სათვის ნიშნავს იჯარით ვაჭრობას ადგილის მოსწრებაზედ და ქვით დაგებაზედ იმ მოედნისა, რომელიც ჩადის ვერის ხიდსა და ყორღანოვის ქუჩის შუა, ორ კოლონად და იწვევს მსურველთ ამ მუშაობის შესრულებისათვის დილის 11 საათ. გამგეობის სადგომში. პირობანი შეიძლება შეიტყოს გამგეობის სამ-ნებელ განყოფილებაში, მუდამ დღე, დილის 10—2 საათამ-დის.

(3—1)

Librairie Chaverdoff, Tiflis

SOUS PRESSE

LA PEAU DE LÉOPARD

D'après

Chota Rousthavéli

par

Achas Borin.

(3—2)

### ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამარილე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოკნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ჰაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, გლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ.

(100—76)

გამოვიდა და ისყიდება

# ბაღის

თხზულება აკაკისა.

**თბილისში** — ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შაერდოვთან.

**ქუთაისს** — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. იქვე ისყიდება სხვა თხზულებებიც **აკაკისა**.

(5—5)

ახლად გახსნილი საწყობი

პურის სპირტის

და

დაწმენდილი არაყისა

კანტორა ვლადიკავკაზის სვიატო-ტროიცკის არაყის ქარხნისა შთამოსავლობითი აპატიო მოქალაქეთა ივანე ადამის ძის **ფორაქოვისა** და დავით ადამის ძის **სარაჯოვისა** ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გაიხსნა სანარდო საწყობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაყისა ქ. თბილისში, თამამშოვის ქარვასლაში, ერევნის მოედანზედ, ალექსივის კანტორის გვერდით.

საწყობში არის მრავალ-გვარი პურის სპირტი: კოფეინისა, ლაკისა, ლიკიორისა და აბსოლიუტური ალკოჰოლი; აგრეთვე არაყები: დაწმენდილი, სასუფრო, დისტილატი და სამეფო არაყი საუკეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენდილი არაყი ამ საწყობისა ისყიდება თვით **დეპოში, დ. სარაჯოვის დიდს ახალს სახლებში** და უოკელ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭელია ერთ-ვედროიანის, $1/2$ ვედროიანი, $1/10$, $1/16$, $1/20$, და $1/40$-ვედროიანი, მტიკეტით და საწყობის ბეჭდით. «მარკა»: „Владикавказскій Свято-Троицкій вино-куренный заводъ изъ Тифлисскаго оптоваго склада“. ამავე ადგილებში გაიყიდება სპირტი და არაყები წვრილ-წვრილად 3 ვედრომდე 1, $1/2$, და $1/4$-ვედროიანი ჭურჭლით საწყობის ფასზედ.

ფასები საზოგადოდ ზომიერია; შემოკვეთილს სპირტს და არაყებს საწყობი თითონ ჩააბარებს შემომკვეთელს მოცემული ადრესით.

ქალაქს – გარეშელთ უნდა თავიანთი მოთხოვნილება შემდეგის ადრესით გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ад. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1.

(15—11)

საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები უოკელის «ხელისათვის» — 25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ჩემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შხოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

**პატაპკი** — 20 კ.

(100—31)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—87)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სჩოტკები თავის ტკივილის ასასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2— ,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკაწინდები — კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ უკელაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—60)

გამოვიდა და ისყიდება

ზღაპრული პოემა გ. წერეთლისა

# ლომ-კაცი

გამოცემა «ნობათი»-ს რედაქციისა, ვენაში და პეტერბურღში ცინკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. ფასი ყველგან სამი აბაზი.

**ისყიდება:** თბილისში — «ნობათი» ს რედაქციაში, გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ვ. შაერდოვის სააგენტოში და ქუთაისში — ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზიაში. გორში — ს. მგალობლიშვილისას. თელავში — ივ. როსტომაშვილისას. ბათუმში — მოსე ნათაძისას.

ვინც პირ-და პირ «ნობათი»-ს რედაქციიდამ ათს ეგზემპლიარს დაიბარებს, წიგნი ელირება ათი შაური.

(10—1)